სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 5 23 0001424121

23/10/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის
დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 26-ე და 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის,უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესახებ დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი“-ს საფუძველზე (დამტკიცებულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მაისის სხდომაზე, ოქმი #16), განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნინო მოდებაძის სამსახურებრივი ბარათის (17/10/2023 წ; N1387920) და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N 23 ოქმის N4 საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, მიმდინარე წლის 24 ოქტომბრიდან, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, შემდეგი მიმართულებით:

- **განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:**
- განათლების მეცნიერებები -- ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეული (აფილირებული), 4 წლით;

2.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი N15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ მიხედვით;
3.კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2023 წლის 27 ნოემბერს 10:00 საათზე და დასრულდეს 2023 წლის 4 დეკემბერს 17:00 საათზე;
4.საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე, №214 ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე,
5. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2023 წლის 8 დეკემბერი;
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს იურიდიული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს (ქ. ხმალაძე);
7.დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ს. რამაზაშვილს) განცხადების გაზეთში გამოქვეყნება;
8.დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
9.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს;
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
12.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა